საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია'' - მე - 5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) - ფარგლებში **მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 25 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი"**, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **– 1**;

კონკურსის შედეგად, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1875 ლარის ოდენობით.

მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების გამოცდილება;
გ) ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებაში გამოცდილება;
დ) კვლევების ჩატარების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
ე) კვლევითი ანგარიშების მომზადების გამოცდილება;
ვ) კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსთან დაკავშირებული მოლოდინებისა და განწყობების პროგრამამდელი მონაცემების ანალიზი და ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტების ჩართულობით;
ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის მიმდინარეობაზე დაკვირვება, პროცესის შესახებ კვლევითი მონაცემების ანალიზი და ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტების ჩართულობით;

გ) სამუშაო საორინეტაციო და მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, პროგრამამდელი მონაცემების შედარების ანალიზი;
დ) ფოკუს ჯგუფების და/ან ინტერვიუების ჩატარების შედეგად შეგროვილი ინფორმაციის ანალიზი;
ე) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირების შემაჯამებელი კონფერენციისათვის პრეზენტაციის მომზადება და კონფერენციაზე წარდგენა;
ვ) ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.